

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება

N2 2012 წლის 25 იანვარი ქ. თბილისი

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების
დამტკიცების შესახებ

1. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-14² მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის თანდართული დებულება (შემდგომში – დებულება).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 16 თებერვლის N6 დადგენილება („აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო მაცნე“ N4 23.02.2007 წ. მუხლი N7).

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

გიორგი ბარამია

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის
დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

ეს დებულება განსაზღვრავს აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის (შემდგომში წარმომადგენლობის) სტატუსს, მის ამოცანებს, ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს, სტრუქტურასა და საქმიანობის წესს.

მუხლი 2.

1. წარმომადგენლობა არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გამგებლობაში არსებული დაწესებულება, რომელიც შექმნილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და საჯარო ფუნქციების განსახორციელებლად ამ დებულებით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

2. წარმომადგენლობა თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

3. წარმომადგენლობის მართვას, წარმომადგენლობის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის (შემდგომში- დევნილთა საქმეების დეპარტამენტი) მეშვეობით. (სსმ. ვებგვერდი, 13.11.2014წ, 010240010.32.061.016117 #52)

4. წარმომადგენლობის დაფინანსების წყაროა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

5. წარმომადგენლობის საშტატო განრიგსა და სახელფასო ფონდს, დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, განსაზღვრავს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. (სსმ. ვებგვერდი, 13.11.2014წ, 010240010.32.061.016117 #52)

6. წარმომადგენლობას აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში ბანკში და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

7. სახელმწიფო გერბის გამოსახულება გამოიყენება წარმომადგენლობის ბლანკზე.

8. წარმომადგენლობის იურიდიული მისამართია – ქ. თბილისი, კ.ხეთაგუროვის 2.

მუხლი 3.

1. წარმომადგენლობის უფლებამოსილება ვრცელდება ქ. თბილისის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მადიებელი) პირებზე.

2. თავისი ამოცანების განხორციელებისას წარმომადგენლობა წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას.

თავი II
წარმომადგენლობის ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილებანი

მუხლი 4.

კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) უფლებამოსილების ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული (დევნისის სტატუსის მაძიებელი) პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნისის სტატუსის მაძიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა ან/და ფოტოიდენტურობის დადასტურება და შესაბამისი ცნობების გაცემა; (სსმ. #17,20.04.2016; ვებგვერდი,25.04.2016,010240010.32.061.016185)

გ) უფლებამოსილების ფარგლებში წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადების, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. (სსმ. ვებგვერდი, 26.09.2014წ.,010240010.32.061.016106 #41)

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა; (სსმ. ვებგვერდი, 13.11.2014წ, 010240010.32.061.016117 #52)

ე) წარმომადგენლობის ბიუჯეტისა და სოციალური პროგრამების შედგენა, წარმომადგენლობის საკუთრების აღრიცხვა, ფლობა, სარგებლობა და განკარგვა;

ვ) საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების გადაწყვეტა.

მუხლი 5.

თავისი ამოცანების განხორციელების მიზნით წარმომადგენლობის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) კომპეტენციის ფარგლებში მთავრობასა და სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა;

ბ) მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენისა და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურების თაობაზე შესაბამისი კომისიის დასკვნისა და ცნობის გაცემა.

გ) დაკისრებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით სახელმწიფო ორგანოებიდან, თანამდებობის პირებისაგან დამატებითი ინფორმაციის, დოკუმენტაციისა და სხვა მასალების გამოთხოვა;

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის, წვევამდელების, რეზერვისტების და სოციალურად დაუცველი ფენის (მარტოხელები, ობოლი ბავშვები, ომის ინვალიდები, მრავალშვილიანები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების წევრები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, უზუცესი თანამოქალაქეები) შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი პერიოდული განახლება;

ე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიაზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემის ორგანიზება;

ე¹) წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადების, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზება. (სსმ. ვებგვერდი, 26.09.2014წ.,010240010.32.061.016106)

ე²) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ

ობიექტებში მცირე და გადაუდებელი სახის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარება; (სსმ. ვებგვერდი, 13.11.2014წ, 010240010.32.061.016117 #52)

ვ) საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

თავი III

წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა

მუხლი 6. (სსმ. ვებგვერდი, 13.11.2014წ, 010240010.32.061.016117 #52)

1. წარმომადგენლობის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

2. წარმომადგენლობის ხელმძღვანელი თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, მთავრობის თავმჯდომარისა და დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 7.

წარმომადგენლობის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს წარმომადგენლობის საქმიანობას და წყვეტს წარმომადგენლობის გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) თვალყურს ადევნებს წარმომადგენლობის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას და ამ დებულებით დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას წარმომადგენლობის საჯარო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე;

გ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წარმომადგენლობის სტრუქტურულ ერთეულთა ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივ აქტს - ბრძანებას, ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტებს;

ე) კომპეტენციის ფარგლებში წარმომადგენლობის სახელით დებს ხელშეკრულებებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან, მოწვეულ სპეციალისტებთან და ექსპერტებთან;

ვ) უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობს წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადების, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორგანიზებას და ამ მიზნით დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ქმნის გამწვევ კომისიას და ხელმძღვანელობს მას. (სსმ. ვებგვერდი, 13.11.2014წ, 010240010.32.061.016117 #52)

ზ) ახორციელებს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებით, მთავრობის დაგენილებებითა და განკარგულებებით და ამ დებულებით განსაზღვრულ ფუნქციებს და დავალებებს.

მუხლი 8. (სსმ.#30, 02.07.2014 წ.; ვებგვერდი, 03/07/2014, 010240010.32.061.016095)

მუხლი 8.

1. წარმომადგენლობის ხელმძღვანელს ჰყავს პირველი მოადგილე და 2 (ორი) მოადგილე, რომელთა უფლებამოსილებები განისაზღვრება წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ბრძანებით.

2. წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს, წარმომადგენლობის ხელმძღვანელის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს

დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე. (სსმ. ვებგვერდი, 13.11.2014წ, 010240010.32.061.016117 #52)

3. წარმომადგენლობის ხელმძღვანელის არყოფნისას, წარმომადგენლობის ხელმძღვანელის დავალებით, წარმომადგენლობის საქმიანობას ხელმძღვანელობს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე.

მუხლი 9.

1. წარმომადგენლობის თანამდებობის პირები არიან წარმომადგენლობის სტრუქტურული ერთეულებისა და მათი შიდა ქვედანაყოფების ხელმძღვანელები.

2. წარმომადგენლობის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი უშუალოდ ემორჩილება წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პირველ მოადგილეს ან წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილეს. (სსმ.#30, 02.07.2014 წ.; ვებგვერდი, 03/07/2014, 010240010.32.061.016095)

3. წარმომადგენლობის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი:

ა) ანაწილებს მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეებს შორის და აძლევს მათ მითითებებსა და განკარგულებებს;

ბ) თვალყურს ადევნებს წარმომადგენლობის სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებას;

გ) ხელს აწერს ან ვიზას ადებს წარმომადგენლობის სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს;

დ) ანგარიშვალდებულია წარმომადგენლობის სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობისათვის;

ე) წარმოადგენს წარმომადგენლობის სტრუქტურულ ქვედანაყოფს თავისი მოვალეობების შესრულებისას და სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელით წარუდგენს დასკვნებს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პირველ მოადგილეს ან წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილეს, რომელიც წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ბრძანების შესაბამისად, ხელმძღვანელობს ამ სტრუქტურულ ქვედანაყოფს; (სსმ.#30, 02.07.2014 წ.; ვებგვერდი, 03/07/2014, 010240010.32.061.016095)

ვ) წარუდგენს წარმომადგენლობის ხელმძღვანელობას წინადადებებს წარმომადგენლობის სტრუქტურული ქვედანაყოფის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეების წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ზ) შუამდგომლობს იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა წარმომადგენლობის სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანათა შესასრულებლად;

თ) შუამდგომლობს წარმომადგენლობის სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;

ი) ასრულებს ამ დებულებით, წარმომადგენლობის სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით, წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ან/და უშუალო ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ ამოცანებს.

თავი IV

წარმომადგენლობის სტრუქტურა

მუხლი 10. (სსმ. ვებგვერდი, 13.11.2014წ, 010240010.32.061.016117 #52)

1. წარმომადგენლობის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია განისაზღვრება ამ დებულებით.

2. წარმომადგენლობის დებულებას წარმომადგენლობის ხელმძღვანელი დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობას დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

მუხლი 11.

წარმომადგენლობის შემადგენლობაში შედის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

ა) წარმომადგენლობის აპარატი:

ა.ა) იურიდიული, კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილება;

ა.ბ) დევნილთა აღრიცხვისა და ანალიტიკური განყოფილება;

ბ) წარმომადგენლობის საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშსწორების სამსახური;

გ) წარმომადგენლობის დევნილებთან ურთიერთობის სამსახური; (სსმ.28.02.2013. 010240010.32.061.016035)

დ) წარმომადგენლობის რეგიონალური მართვის სამსახური;

დ.ა) წარმომადგენლობის რეგიონალური მართვის სამსახურის ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონული განყოფილება; (სსმ.28.02.2013. 010240010.32.061.016035)

ე) წარმომადგენლობის სოციალური პროგრამების მართვის სამსახური;

ე.ა) ამოღებულ იქნეს (სსმ.28.02.2013. 010240010.32.061.016035)

ვ) წარმომადგენლობის წვევამდელთა აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური;

ვ.ა) წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის წვევამდელთა აღრიცხვის განყოფილება.(სსმ.28.02.2013. 010240010.32.061.016035)

მუხლი 12.

1. წარმომადგენლობის აპარატი უზრუნველყოფს:

ა) წარმომადგენლობის და მისი დანაყოფების საინფორმაციო და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

ბ) წარმომადგენლობის არსებული მატერიალური ფასეულობების ექსპლუატაციის კონტროლის განხორციელებას;

გ) წარმომადგენლობის იურიდიულ მომსახურებას, მათ შორის:

გ.ა) ოფიციალური დოკუმენტის სამართლებრივ ექსპერტიზას;

გ.ბ) წარმომადგენლობის კანონიერი ინტერესების დაცვას სასამართლოში და სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან ურთიერთობისას;

გ.გ) წარმომადგენლობის გადაწყვეტილებათა შესაბამისობის კონტროლს მოქმედ კანონმდებლობასთან;

დ) ოფიციალურ კორესპონდენციათა რეგისტრაციას, შესაბამის დანაყოფებში მათ გადაგზავნას, შესაბამისი ოქმების წარმოებასა და მათ შენახვას;

ე) წარმომადგენლობის მოსამსახურეთა პირადი საქმეებისა და სხვა საკადრო დოკუმენტაციის შედგენას, აღრიცხვასა და წარმოებას;

ვ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური და დემოგრაფიული ერთიანი მონაცემთა ბაზის ფორმირებასა და მის პერიოდულ განახლებას.

2. საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშსწორებების სამსახური, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფს:

ა) წარმომადგენლობის მატერიალურ – ტექნიკური ბაზის, წარმომადგენლობის საფინანსო – ეკონომიკური საქმიანობის მართვის სისტემის ფორმირების განხორციელებას;

ბ) ყველა განსახორციელებელი დავალებისა და პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის ხარჯების პროექტების დადგენას;

გ) შესაბამის ზემდგომ და მაკონტროლებელ ორგანოებში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დროულ წარდგენას.

3. წარმომადგენლობის დევნილებთან ურთიერთობის სამსახური ახორციელებს: (სსმ.28.02.2013. 010240010.32.061.016035)

ა) აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენისა და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურების თაობაზე შემოსული განცხადებების წარმომადგენლობაში შექმნილი შესაბამისი კომისიისათვის წარდგენას;

ბ) დევნილის სტატუსის მინიჭების, აღდგენის ხელშეწყობის მიზნით, უფლებამოსილების ფარგლებში სხვადასხვა შინაარსის ცნობის გაცემას;

გ) იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრულ ფარგლებში წინადადებებისა და ღონისძიებათა გეგმების შემუშავებას.

4. წარმომადგენლობის რეგიონალური მართვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში დროებით მცხოვრები აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის მომსახურების განხორციელებას.

5. წარმომადგენლობის სოციალური პროგრამების მართვის სამსახური უზრუნველყოფს:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური პირობების შესწავლას;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით წინადადებებისა და ღონისძიებათა გეგმების შემუშავებას;

გ) აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის თაობაზე მოქალაქეთა განცხადებების წარმომადგენლობაში შექმნილი შესაბამისი კომისიისათვის წარდგენას;

6. წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს, წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადების, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას. (სსმ. ვებგვერდი, 26.09.2014წ.,010240010.32.061.016106)

**თავი V
დასკვნითი დებულებები**

მუხლი 13.

წარმომადგენლობის დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით.

განმარტებითი ბარათი

„აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტებზე

„აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტები შემუშავებულია საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

დადგენილების პროექტის შემუშავების მიზეზს წარმოადგენს:

ა) ერთიანი პაკეტის სახით დასამტკიცებლად წარმოდგენილი „აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების შექმნის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 17 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის თანახმადაც ტერმინის – „აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა“ ნაცვლად, მკვიდრდება ტერმინი – „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა“;

ბ) აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის მოქმედ დებულებათა ნორმების მოძველება. კერძოდ, წარმომადგენლობის დებულება დამტკიცებულია 2007 წელს, მართალია მიღების შემდგომ მასში შევიდა არაერთი ცვლილება და დამატება, თუმცა ისინი მაინც ვერ უზრუნველყოფენ საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმომადგენლობის წინაშე მდგარი ამოცანების სრულფასოვან რეგულირებას.

გ) წარმომადგენლობის საქმიანობის დახვეწა, საკანონმდებლო თუ ტექნიკური საკითხების დარეგულირება.

დადგენილების პროექტით განისაზღვრება აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის უფლებამოსილება, სტატუსი, მისი ამოცანები, ფუნქციები, სტრუქტურა და საქმიანობის წესი.

დადგენილების პროექტი არ იწვევს დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ზრდას.

დადგენილების პროექტის ინიციატორი და შემმუშავებელია რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი.